

# მშობელთა კავშირი

## PARENTS' UNION

№ 2/1107

“ 8 დეკემბერი 2008წ.

### საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

ჩვენ უაღრესად შემფოთებულები ვართ იმით, რომ საქართველოში ვერ ხერხდება ტელე-რადიო სივრცის, ინტერნეტისა და სხვა სივრცეების დარეგულირება იმგვარად, რომ მოსახლეობა, საზოგადოება, მოზარდი თაობა დაცული იყოს ნეგატიური ზემოქმედებისაგან. ქვეყნის შიგნით არსებული ვითარების დარეგულირება ჩვენს ხელთაა და ამისათვის ძალა და მონდომება არ უნდა დავიშუროთ, რათა შევძლოთ ჩვენი ეროვნული ღირებულებებისა და ზნეობრივი ფასეულობების დაცვა და შენარჩუნება.

ამჯერდ თქვენი ყურადღების მოპყრობა გვსურს იმ მოვლენაზე, რასაც შეიძლება ვუწოდოთ მასმედიის საშუალებებით უცხო ქვეყნის მავნე ზეგავლენის გავრცელება ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს საზოგადოებაში. კერძოდ, მიუღებელია, როდესაც:

1. არაქართული – რუსული თუ სხვა არხებით ჩვენს ქვეყანაში გადაიცემა: უხამსობა, უზნეობა, ძალადობა ოკულტიზმი, ჯადოქრობა, სატანიზმისა თუ ჰიპნოზის შემცველი გადაცემები; ხდება ნარკომანიის, სექსის, მათ შორის, სექსის გაუკუღმართებული ფორმების, პროპაგანდა, იქადაგება სატანიზმი;
2. გადაიცემა მასალები, რომლებითაც ხდება ჩვენი ეროვნული ღირსების, თვითმყოფადობისა და ისტორიულად ჩამოყალიბებული ზნეობრივი თუ სოციალური ფასეულობების ხელყოფა და შეურაცხყოფა, როდესაც მასმედიის საშუალებები იქცევა პროპაგანდისტულ მანქანად, რომლითაც ვრცელდება ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური მასალები, არაკეთილგანწყობით მომზადებული ცრუ და დამახინჯებული ინფორმაცია, რომლის მიზანია ჩვენი დაკნინება, დაბეჩავება, ქართული მხედრული ღირსების დამდაბლება, ქართული იურიდიული და სულიერი სივრცის – ტერიტორიის, ეკლესიის კანონიკური იურისდიქციის და სხვა სივრცეების – შეზღუდვის ხელშეწყობა.
3. როდესაც ხდება ქართველებსა და სხვა ხალხებს შორის ურთიერთობების დაძაბვის, გაფუჭების, მოშლისა და დაპირისპირების მცდელობა და პროვოცირება.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ გამოინახოს მექანიზმები, რომლებიც შეძლებენ დაარეგულირონ ეს პრობლემები და მოხსნან ნეგატიური ზეგავლენა, მიმართული ჩვენი საზოგადოებისაკენ, ჩვენი ცნობიერებისაკენ, მათ შორის აკრძალული ფორმებით, როგორცაა ქვეცნობიერზე ზემოქმედების საშუალებები. გაუმართლებელი და უზნეო საქციელი იქნება, თუკი ჩვენ შევზღუდავთ უცხო ქვეყნის მაუწყებლობით ზემოთ ხსენებული მიუღებელი სახის გადაცემებს, ხოლო იმავე დროს არ შევზღუდავთ ადგილობრივი მაუწყებლების მიერ უხამსობასა და სხვა მიუღებელი მასალის გადაცემებს. ასევე, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ პრინციპით: ის, რაც არ გინდა რომ სხვამ გაგიკეთოს შენ, შენც არ უნდა გაუკეთო სხვას, ანუ, არ უნდა გადაიცეს ადგილობრივ მომზადებული ისეთი მასალა, რომელიც შეურაცხყოფს სხვა ხალხებს და გამოიწვევს ხალხებს შორის ზიზღს, დაპირისპირებას, კონფლიქტს და ა.შ. უნდა გვახსოვდეს, რომ ხელისუფლება და პოლიტიკოსები მიდიან, ხალხი კი რჩება.

პატივისცემით:

თანათავმჯდომარე:

ა. უნგიაძე